პროლეტარიელო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მეცრეველთა დეპუტატების საბჭოების რეფერენდუმი

KOMUNISTI ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი, 14 თებერვალი, 1947 წ. № 35 (7819). ფასი 20 კაპ.

ДЕС ГАЗЕТИДАН.

— საანგარიშო კრებები კოლმეურნეობებში — მოწინავე (1-ლი გვერდი).
— ცნობები რსფსრ, უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ, აზერბაიჯანის სსრ, სომხეთის სსრ, ლიტვის სსრ, აფხაზეთის ასსრ და აბაზის ასსრ უმაღლესი საბჭოების არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიებისა (1-ლი და მე-2 გვერდი).
— პარტიული ცხოვრება (მე-2 გვერდი).
— გ. ლეონიძე — თბილისს (მე-2 გვერდი).
— საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების, ბელეტრისტა-ელთა და მასწავლებელთა სარჩევნო ბიუროებისადმი (მე-3 გვერდი).
— მზადება საგაზაფხულო თესვისათვის (მე-3 გვერდი).
— უცხოეთის ამბები — დეკანოზები (მე-4 გვერდი).

საანგარიშო კრებები კოლმეურნეობებში

ბასელ წელს ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა უხვი მოსავალი მოიყვანეს. ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებთან სახელმწიფო გეგმები ზნეშეწალოვანი გადაკარბებით არის შესრულებული. თვალსაჩინოდ გაიზარდა შრომადღის ღირებულება, გადიდდა კოლეგურნეთა ნატურალური და ფულადი შემოსავალი, იმატა მილიონერ კოლეგურნეობათა რიცხვმა.

კოლეგურნეობათა შემდგომი განმტკიცების ამოცანა მთელი სიგრძე-სიგანით სდგას ჩვენს წინაშე. საარტელო მეურნეობის წარმატებით განვითარების ერთ-ერთი აუცილებელი პირობა კოლეგურნეობის გამდიდრის და მისი თავმეჯდომარის რეგულარული ანგარიშგება კოლეგურნეთა წინაშე.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1946 წლის 19 სექტემბრის დადგენილების შესაბამისად კოლეგურნეობებში ეწყობა საარჩევნო კრებები, მიძღვნილი სასოფლო-სამეურნეო წლის შეჯამებისადმი. ამ კრებებზე კოლმეურნეები განიხილავენ კოლეგურნეობათა გამდიდრების ანგარიშებს 1946 წლის სამეურნეო საქმიანობის შედეგების შესახებ, ამავე კრებებზე კოლმეურნეები შეუძლიათ ჩაატარონ კოლმეურნეობათა გამდიდრების, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებისა და სარეკვიზიო კომისიების არჩევნები იმ შემთხვევაში, თუ წესდებით დადგენილი ვადები გასულია, ან როცა კოლეგურნეთა საერთო კრება საჭიროდ ჩათვლის ვადამდე მოახდინოს ეს.

როგორც პირველი ცნობები მოწმობენ, საანგარიშო კრებები კოლმეურნეობებში მძიმედნარეობს დიდი პოლიტიკური აქტივობით. მაგალითად, სამტრედიის რაიონის სოფელ ნაჩუბატარის კოლეგურნეობა „მრეშის" წევრებმა საანგარიშო კრებაზე; გამიდოლად ვამაძღეგეს სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევანი, მაცარად გააკრიტიკეს გამოუძისა და მისი თავმჯდომარის მოქმედები მუშაობა. კოლმეურნეებმა თავმჯდომარედ აღარ აირჩიეს თ. გოგოძე, რომელმაც ვერ გაამართალა კოლმეურნეთა ნდობა. კრებამ დასაბა კონკრეტული ღონისძიებანი კოლმეურნეობის საზოგადოებრივი მეურნეობის განეფთარებისათვის. ასე საქმითნად ატარებენ საანგარიშო კრებებს მრავალ სხვა კოლმეურნეობაში.

საანგარიშო კრებები დიდი პოლიტიკური და სამეურნეო მნიშვნელობის მოვლენაა კოლეგურნეობის ცხოვრებაში. მათი დროულად, მაღალ დონეზე ჩატარება ადგილობრივი პარტიული ეს საბჭოთა ორგანოების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. როგორც სჩანს, ეს ყველგან როდი ესმით. ამიტომ რაც პუბლიკაში საანგარიშო კრებები ნელი ტემპით მიმდინარეობს. 4.079 კოლმეურნეობიდან 10 თებერვლისათვის საანგარიშო კრება ჩატარებულია მხოლოდ 2.164 კოლმეურნეობაში. საგარეჯოს რაიონში 41 კოლეგურნეობიდან საანგარიშო კრება ჩატარებულია 6-ში. ბოლნისის რაიონში 46 კოლეგურნეობიდან მხოლოდ 9 კოლეკურნეობის წლიური ანგარიშება განხილული და დამტკიცებული. ამ მხრივ ჩამორჩენილი არიან აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკა, გორის, ქარელის, ქუთაისის, ჩოხატაურისა და ზუგდიდის რაიონებიც.

საანგარიშო კრებებს კარგი მომზადება ესაჭიროება. აღგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოები კოლეკურნეობებს უნდა დაეხმარონ გამოცალილი ადამიანებით, საანგარიშო დარგის მუშაკებით, თანა სწორად იქნას შეჯამებული გაწეული მუშაობა. შედეგანი ანგარიში სრულ წარმოდგენას უნდა იძლეოდეს, თუ როგორ აბორიგელებდა გამგეობა სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინურ წესდებას, სსრ კავშირის ხელისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 19 სექტემბრის დადგენილებას.

საანგარიშო კრებებმა ხელი უნდა შეუწყონ სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევის ბოლოზე აღმოფხვრის საქმეს. კრებას უნდა წარედგინოს ანგარიში, თუ რა ზომები მიიღო გამგეობამ შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის, კოლეკურნეთა შრომის დამატებითი ანაზღაურების კანონის განხორციელებისათვის.

საანგარიშო კრებები ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით უნდა ჩატარდეს. საჭიროა მოურიდებლად ვამხილოთ ნაკლოვანებანი. ამასთან ერთად აუცილებელია ფართოდ გავაქნოთ კრების მონაწილეების მოწონნავე ადამიანები, უხვი მოსავლის ოსტატები და დავსახოთ კოლეკტიული ღონისძიებანი ჯათი მუშაობის ეფექტიანობის გასაკეთებლად.

საკოლეკურნეო პირველადი პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან უაღრესად აქტიური მონაწილეობა მიიღონ საანგარიშო კრებების მომზადებასა და ჩატარებაში. მათი ამოცანაა მიაღწონ კოლმეურნეთა რაც შეიძლება მეტი რაოდენობით მონაწილეობას გამგეობის ანგარიშის განხილვასა და ღონისძიებათა დასახვაში.

კოლეკურნეობის საქმიანობის შესახებ გამგეობის ანგარიშის განხილვა ეშიფოროდ უნდა დაეკავშირდეს საგაზაფხულო თესვისათვის მოსამზადებლად მასების დარაზმვის ამოცანას. კრებაზე საჭიროა ვამორჩეულ, სათანადო კონდიციისა არის თუ არა საგაზაფხულოდ მომზადებული თესლი, როგორ ინახება ის, შეკეთებულია თუ არა სასოფლო-სამეურნეო მანქანები და ინვენტარი, როგორ მიმდინარეობს მასობრივი კვალიფიკაციის კადრების მომზადება, სასუქის მინდვრად გატანა.

აუცილებელია საანგარიშო კრებებს დაეშვროს რაიონის ხელმძღვანელი მუშაკები. მათი ეალია უზრუნველყონ კრებების ჩატარება საკოლეკურნეო ფემკარტის მტკიცედ დაცვის საფუძველზე. ისინი უნდა დაეხმარონ კოლეკურნეებს კოლეკურნეობის გამგეობანში და კოლეკურნეობის თავმჯდომარეად აირჩონ გამოცდილი მოწინავე ადამიანები, რომლებსაც ნამდვილად შესწევთ უნარი ბოლეფდეს საქმის.

საქართველოს სსრ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის კომფინანსებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის ბრწყინვალე გამარჯვებამ კოლმეურნეები, ისევე როგორც მთელი ჩვენი ხალხი, აღფაფოთვანა ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად. კოლმეურნე ელეხობის აქტივობა წარმართოთ საანგარიშო კრებების ორგანიზებულად ჩატარებისათვის, თესვისწინა სამუშაოების სანიმუშოდ შესრულებისათვის.

ЗРАЦЗЧРЕБИС. КОМБАЙНЕБИС. ГУТНЕБИС. САТЕСЕБИСА ДА КУЦЕЩИЗАЗЧРЕБИС РЕЗЕМЕНЗИ

(ССРАТВЕОЛЕС ССР ЗЕРЕСЕНЕМЕЛЕБЕНИС ДА ТРАКТОРИЗАЦИЕ ЕЛЕКТРИЧЕСКИЕ СТАНЦИЕБИС 10 ТЕ ЗЕРЕСЕНЕ ЕЕТЕНЕБЕНИ).

Резменсби бегдеби Зеберулебеа Прокуцентебит

Ме-еби	Трактори-ебиси	Комбайн-ебиси	Гутнебиси	Сатесебиси	Цуцещизазчребиси
ქარელის	100,0	50,0	62,5	55,6	50,0
გორის	80,0	0,0	89,5	75,0	0,0
მარნეულის	70,0	0,0	69,6	0,0	33,3
ზუგდეფი-ქალაქის	104,2	0,0	90,0	25,0	0,0
ფოთის	87,5	—	75,0	100,0	100,0
სტალინირის	76,2	0,0	50,0	0,0	0,0
ჭიათურის	95,2	0,0	65,0	30,0	50,0
ახალციხის	88,1	—	45,5	64,3	40,0
ვანის	100,0	—	64,7	60,0	133,3
ხიდგანოვკის	100,0	—	90,9	71,4	100,0
ახალციხის	100,0	—	96,0	100,0	60,0
თიანეთის	78,3	0,0	70,0	33,3	40,0
წალკის	96,2	—	83,3	0,0	—
ბაღდათის	87,5	0,0	51,5	58,3	63,6
ბორჩალოს	83,3	22,2	58,3	66,7	33,3
ციხისძირის	74,0	0,0	87,5	85,7	42,9
ულიანოვკის	75,9	0,0	77,8	100,0	83,3
წულუკიძის	90,6	8,7	100,0	66,7	60,0
ზესტაფონის	88,5	4,0	56,9	50,0	0,0
ალაზანის	71,2	0,0	76,9	46,7	87,5
ზნაურის	87,0	2,4	79,4	76,9	33,3
ოქტომბერის	92,0	0,0	70,0	20,0	0,0
ანმაშენის	70,8	9,1	50,0	—	0,0
ყვირილის	65,9	0,0	59,5	0,0	0,0
დიდუბის	66,7	0,0	55,6	0,0	—
თბილისის	100,0	0,0	77,4	44,4	100,0
თიანეთის	87,5	16,7	81,0	62,5	55,6
მცხეთის	58,1	0,0	28,9	0,0	100,0
ყაზბეგის	87,8	0,0	66,7	42,9	40,0
ნაფარეულის	70,7	5,9	62,9	22,2	53,0
სარეკომენდის	85,7	6,7	21,4	33,3	40,0
ბაშყოფეთის	90,0	0,0	80,0	50,0	0,0
ჭეთანისის	100,0	—	109,5	—	100,0
სამტრედიის	81,3	—	53,8	—	100,0
ვანის	107,1	—	100,0	—	—
ზესტაფონის	100,0	—	100,0	—	100,0
ბულეფიანის	86,4	—	88,2	—	100,0
ბაღდათის	93,3	—	100,0	—	100,0
ონტაბრის	100,0	—	100,0	—	100,0
ლენინგორის	50,0	—	125,0	—	50,0
ტაბლისის	71,4	—	75,0	—	—
ლენინგორის	83,3	—	80,0	—	100,0
ბაბაჩანის	110,0	—	100,0	—	50,0
ლენინგორის	100,0	—	95,0	—	50,0
ახალციხის	100,0	—	104,8	—	50,0
ცხინვალის ბინ-ფალი	100,0	—	87,0	—	—
ცხინვალის					
მეორე	57,1	—	150,0	—	—
გაგაზეთის	100,0	—	57,1	—	—
ზუგდიდის	89,5	—	85,0	—	100,0
ხობის	85,7	—	75,0	—	100,0
წულუკიძის	73,3	—	86,7	—	100,0
ოდგოდანის	87,3	—	81,8	—	—
ბორჩალოს	94,9	—	59,5	30,0	—
ზეფიანის	81,5	—	53,8	36,8	66,7
ბოლნისის	90,3	25,0	87,5	66,7	66,7
ხაშურის	86,1	50,0	76,0	60,0	75,0
ყვარის	96,8	30,0	100,0	100,0	100,0
რიონის	75,0	9,1	85,7	72,7	111,1
ახალციხეს	41,5	—	43,8	—	—
ქსნის	75,0	33,3	58,8	40,0	66,7

ЦНОБА

РСФСР УМАЦЛЕСИ САБАЧОС АРХЕВНЕБИС ЦЕНТРАЛЕРИ СААРХЕВНО КОМИСИИСА РСФСР УМАЦЛЕСИ САБАЧОС 1947 ЕЛИС 9 ТЕБЕРВАЛИС АРХЕВНЕБИС ШЕДЕГЕБИС ШЕСАХЕБ

ცენტრალური საარჩევნო კომისია იუწყება საბოლოო ცნობებს რსფსრ უმაღლესი საბჭოს 1947 წლის 9 თებერვლის არჩევნების შედეგების შესახებ.

1947 წლის 11 თებერვლის დღის 12 საათისათვის ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში საოლქო საარჩევნო კომისიებისაგან რსფსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების შედეგების შესახებ შემოვიდა სრული ცნობები, შედგენილი ყველა 84.683 საარჩევნო კომისიის ცნობების საფუძველზე.

ყველა საუბნო საარჩევნო კომისიისაგან მიღებული ცნობების საფუძველზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა განისაზღვრა 59.369.181 ამომრჩეველით, მათგან რსფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 59.341.928 ამომრჩეველმა, ანუ რეგისტრირებულ ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 99,95 პროცენტმა.

ყველა 752 საარჩევნო ოლქში კომფინანსებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს ხმა მისცა 58.918.779 ამომრჩეველმა, რაც შეადგენს ხმის მცემაში მონაწილეთა საერთო რიცხვის 99,29 პროცენტს. დეპუტატობის კანდიდატთა წინააღმდეგ ხმა მისცა 420.359 კაცმა, რაც შეადგენს ხმის მცემაში მონაწილეთა ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 0,71 პროცენტს.

რსფსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების 79-ე მუხლის საფუძველზე არანამდვილად ცნობილია 2.790 ბიულეტენი.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ რსფსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების 38-ე მუხლის საფუძველზე განიხილა მასალები თვითეული საარჩევნო ოლქის მიხედვით და რეგისტრაციაში გაატარა ყველა 752 საარჩევნო ოლქში არჩეული რსფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები.

ყველა არჩეული დეპუტატი კომფინანსებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატია.

РСФСР УМАЦЛЕСИ САБАЧОС АРХЕВНЕБИС ЦЕНТРАЛЕРИ СААРХЕВНО КОМИСИИСА

ЦНОБА

УКРАИНИС СС РЕСПУБЛИКИС УМАЦЛЕСИ САБАЧОС АРХЕВНЕБИС ЦЕНТРАЛЕРИ СААРХЕВНО КОМИСИИСА УКРАИНИС СС РЕСПУБЛИКИС УМАЦЛЕСИ САБАЧОС 1947 ЕЛИС 9 ТЕБЕРВАЛИС АРХЕВНЕБИС ШЕДЕГЕБИС ШЕСАХЕБ

КИЕВИ, 12 თებერვალი. (საკდესი). ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში 1947 წლის 11 თებერვლის დღის 12 საათისათვის ყველა საოლქო საარჩევნო კომისიისაგან მიღებულ იქნა საბოლოო ცნობები უკრაინის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შედეგების შესახებ, შედგენილი 26.271-ვე საუბნო საარჩევნო კომისიის ოქმების საფუძველზე. ამასთან მთლიანად აღრიცხულია ყველა ამომრჩეველი, რომლებმაც 9 თებერვალს მონაწილეობა მიიღეს კენჭისყრაში, მაგრამ არჩევნების დღემდე შეტანილი არ ყოფნენ ამომრჩეველთა სიებში, აგრეთვე იმ საარჩევნო უბნების ამომრჩეველები, რომლებიც შექმნილ იქნა რკინიგზის სადგურებზე, მორეული მიმოსვლის მატარებლებზე და არჩევნების დღეს ნაოსნობაში მყოფ გემებზე.

უკრაინის სს რესპუბლიკის ყველა საარჩევნო ოლქში რეგისტრირებული ამომრჩეველების საერთო რაოდენობიდან—21.554.233 კაციდან უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 21.545.023 კაცმა, ანუ 99,96 პროცენტმა.

უკრაინის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების 415-ვე საარჩევნო ოლქში კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს ხმა მისცა 21.431.528 კაცმა, რაც შეადგენს კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 99,47 პროცენტს. დეპუტატობის კანდიდატთა წინააღმდეგ ხმა მისცა 111.832 კაცმა, რაც შეადგენს კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 0,52 პროცენტს. „უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების" 79 მუხლის საფუძველზე არანამდვილად ცნობილია 1.663 ბიულეტენი.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ „უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების" 38 მუხლის საფუძველზე განიხილა თვითეული საარჩევნო ოლქის მასალები ცალ-ცალკე და რეგისტრაციაში გაატარა უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს 415-ვე საარჩევნო ოლქში არჩეული დეპუტატები. ყველა არჩეული დეპუტატი კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატია.

უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებად არჩეულნი არიან:

ა. ბ. სტალინი — ქალაქ კიევის სტალინის საარჩევნო ოლქში.
ვ. მ. მოლოტოვი — ქალაქ კიევის ლენინის საარჩევნო ოლქში.
ლ. პ. ბერია — ქალაქ სტალინის კუიბიშევის საარჩევნო ოლქში.
ა. ა. ჟდანოვი — ქალაქ ხარკოვის ძერჟინსკის საარჩევნო ოლქში.
კ. ე. ვოროშილოვი — კამენეც-პოდოლსკის ოლქის ნოვაია უშიცის საარჩევნო ოლქში.
ა. ი. მიკოიანი — ქალაქ ოდესის ილიჩის საარჩევნო ოლქში.
ა. ა. ანდრეევი — ქალაქ ვინიცის საქალაქო საარჩევნო ოლქში.
ლ. მ. კაგანოვიჩი — ქალაქ კიევის კაგანოვიჩის საარჩევნო ოლქში.
გ. მ. მალენკოვი — ქალაქ დნეპროპეტროვსკის კიროვის საარჩევნო ოლქში.
ნ. ს. ხრუშჩოვი — ქალაქ კიევის ოქტომბრის საარჩევნო ოლქში.
ნ. მ. შვერნიკი — ქალაქ ლუგოვის სტალინის საარჩევნო ოლქში.
ნ. ა. ვოზნესენსკი — სტალინის ოლქის ქალაქ ენაკიევის საქალაქო საარჩევნო ოლქში.
ა. ნ. ბულგანინი — ზაპოროჟიეს ოლქის ქალაქ ოსიპენკოს საარჩევნო ოლქში.
ა. ნ. კოსიგინი — ქალაქ ჩერსონის საქალაქო საარჩევნო ოლქში.
ა. ა. კუზნეცოვი — ქალაქ პოლტავის საქალაქო საარჩევნო ოლქში.
ნ. ს. ხაბროლიჩევი — ქალაქ სუმის საარჩევნო ოლქში.
გ. მ. პოპოვი — ეიტომირის ოლქის ოლე

ცნობა

აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიისა

აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ჩასატარებლად ჩამოყალიბებული იყო 104 საარჩევნო ოლქი. საარჩევნო ოლქების შემადგენლობაში შექმნილი იყო 285 საარჩევნო უბანი.

ყველა საოლქო საარჩევნო კომისიისაგან 10 თებერვლის საღამოს 6 საათისათვის მიღებულია სრული ცნობები რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობისა და აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებზე ამომრჩეველთა გამოცხადების შესახებ.

ამ ცნობების თანახმად, ყველა საარჩევნო ოლქში რეგისტრირებულია 195.356 ამომრჩეველი. აქედან კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 195.325 კაცმა, რაც ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 99,98 პროცენტს შეადგენს.

10 თებერვლის განმავლობაში საუბნო საარჩევნო კომისიებმა დათვალეს აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებისათვის მიცემული ხმები.

საოლქო საარჩევნო კომისიათა ცნობებით, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების 104-ვე საარჩევნო ოლქში კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატებს ხმა მისცა 194.816 კაცმა, რაც შეადგენს კენჭისყრის მონაწილეთა მთელი რაოდენობის 99,74 პროცენტს.

ქალაქ სოხუმში 31.418 ამომრჩევლიდან კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 31.416 კაცმა, ანუ ყველა ამომრჩეველთა 99,99 პროცენტმა.

საარჩევნო ოლქების ცნობებით, რეგისტრირებულია 104-ვე დეპუტატის არჩევა. ყველა არჩეული დეპუტატი, უკლებლივ, კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატია.

არჩეული 104 დეპუტატიდან 83 კომუნისტია და 21 უპარტიო. დეპუტატთა შორის 30 ქალია.

არჩეულ დეპუტატთა შორის არიან:

ა. ი. მგელაძე — ქალაქ სოხუმის სტალინის საარჩევნო ოლქი;
ა. ი. მირცხულავა — რეფო-შეშელეთის საარჩევნო ოლქი;
მ. კ. დელბა — ახალი კინდღის საარჩევნო ოლქი;
მ. ი. კუპავა — მერხეულის საარჩევნო ოლქი;
ი. ა. გვილავა — კოდორის საარჩევნო ოლქი;
ი. ნ. ტუსკაძე — ჩუბურხინჯის საარჩევნო ოლქი;
ა. ვ. გუსევა — ტყვარჩელის საქალაქო საარჩევნო ოლქი;
ჩ. ნ. ქვაჩახია — ოქუმის საარჩევნო ოლქი;
კ. ი. არშბა — ფოქვეშის საარჩევნო ოლქი;
ე. კ. გარანიანი — ბაღნარის საარჩევნო ოლქი;
ნ. გ. სტროევონსი — კომკავშირის საარჩევნო ოლქი;
ნ. ხ. ოტირბა — ფსირცხის საარჩევნო ოლქი.

აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისია

ცნობა

აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიისა

აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ჩასატარებლად ჩამოყალიბებული იყო 63 საარჩევნო ოლქი. საარჩევნო ოლქთა შემადგენლობაში შექმნილი იყო 194 საარჩევნო უბანი.

ყველა საოლქო საარჩევნო კომისიისაგან 10 თებერვლის საღამოს 6 საათისათვის მიღებულია სრული ცნობები რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობისა და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებზე ამომრჩეველთა გამოცხადების შესახებ.

ამ ცნობების თანახმად, ყველა საარჩევნო ოლქში რეგისტრირებულია 123.352 ამომრჩეველი. აქედან კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 123.335 კაცმა, რაც ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 99,99 პროცენტს შეადგენს.

10 თებერვლის განმავლობაში საუბნო საარჩევნო კომისიებმა დათვალეს აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებისათვის მიცემული ხმები. საოლქო საარჩევნო კომისიათა ცნობებით, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების 63-ვე საარჩევნო ოლქში კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატებს ხმა მისცა 123.229 კაცმა, რაც შეადგენს კენჭისყრის მონაწილეთა საერთო რაოდენობის 99,91 პროცენტს.

ქალაქ ბათუმში 51.473 ამომრჩევლიდან კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 51.457 კაცმა, ანუ ყველა ამომრჩეველთა 99,97 პროცენტმა.

საოლქო საარჩევნო კომისიათა ცნობებით, რეგისტრირებულია 63-ვე დეპუტატის არჩევა. ყველა არჩეული დეპუტატი, უკლებლივ, კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატია. არჩეული 63 დეპუტატიდან 46 კომუნისტია და 17 უპარტიო. დეპუტატთა შორის 19 ქალია.

არჩეულ დეპუტატთა შორის არიან:

კ. გ. ბეჟვაია — ქალაქ ბათუმის სტალინის საარჩევნო ოლქი;
ი. ხ. ფუტკარაძე — დიაკონიძეების საარჩევნო ოლქი;
დ. ა. დავითაძე — კვირიკეს საარჩევნო ოლქი;
ნ. ი. ნიჟარაძე — ქალაქ ბათუმის ვოროშილოვის საარჩევნო ოლქი;
მ. გ. კალანდაძე — ქალაქ ბათუმის ტელმანის საარჩევნო ოლქი;
მ. ლ. კუბლაშვილი — გონიოს საარჩევნო ოლქი;
ი. ს. დვალიშვილი — ქალაქ ბათუმის ბერიას საარჩევნო ოლქი;
გ. ა. კონცელიძე — ხალის საარჩევნო ოლქი;
ი. ა. მარკოვი — ქალაქ ბათუმის შაუმიანის საარჩევნო ოლქი.

აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისია

საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტში

1947 წლის 1 მარტიდან 1 აპრილამდე საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში ქალაქისა და სოფლის ახალგაზრდობის მორიგი გაწვევის ჩატარების შესახებ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება გაწვევის მომზადებასა და ჩატარებაში კომკავშირული ორგანიზაციების მონაწილეობის შესახებ.

საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა შრომითი რეზერვების სკოლებში ახალგაზრდობის მომავალი გაწვევის განსაკუთრებული მნიშვნელობა და კომკავშირულ ორგანიზაციებს დაავალა მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებთან და შრომითი რეზერვების სამმართველოებთან ერთად უზრუნველჰყონ ამ ღონისძიების ორგანიზებულად ჩატარება.

კომკავშირულ ორგანიზაციებს წინადადება მიეცათ ახალგაზრდობასა და მოსახლეობაში ჩაატარონ ფართო საგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა, განუმარტონ სახელმწიფოს მიერ კვალიფიციური სამრეწველო მუშების, განსაკუთრებით სამთამადნო მუშების, მეტალურგების, მშენებლების, რკინიგზელების მომზადების პოლიტიკური და სამეურნეო მნიშვნელობა, უამბონ იმ პროფესიებსა და სპეციალობებზე, რომლებსაც შეისწავლის ახალგაზრდობა საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში, მოსწავლეთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო უზრუნველყოფაზე.

საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა კომკავშირულ ორგანიზაციებს დაავალა აქტიური მონაწილეობა მიიღონ ახალი სასწავლო წლისათვის ყველა საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლის თავის დროზე მომზადებაში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ახლად ორგანიზებულ სასწავლებლებს. საჭიროა დახმარება გაეწიოს სკოლებს სახელოსნოებისათვის იმ მოწყობილობის მიღებაში, რომელიც მათ აკლიათ, საერთო საცხოვრებლებისა და სასადილოების შეკეთებაში. 20 თებერვლიდან 1 მარტამდე კომკავშირულმა ორგანიზაციებმა უნდა ჩაატარონ ახალი გაწვევის მოსწავლეთა მისაღებად საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლების მომზადების რეიდი-შემოწმება.

იმ ოლქების, მხარეებისა და რესპუბლიკების კომკავშირულ ორგანიზაციებს, რომლებშიც ახალგაზრდობას იწვევენ სხვა ოლქების საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში სასწავლად, წინადადება მიეცათ თვალყური ადევნონ გაწვეულთა ორგანიზებულ გამგზავრებას, თბილი ტანსაცმლით, ფეხსაცმლით და საგზლით მათს უზრუნველყოფას.

საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა კომკავშირის კომიტეტების ყურადღება მიაპყრო იმას, რომ საჭიროა მოაწყონ მოსწავლეთა ახალი შემადგენლობის ორგანიზებული შეხვედრა და ყურადღებით მოეკიდონ მათს საჭიროებებს. (საკდესი).

პარტიული ცხოვრება

პარტიული კრების შემდეგ

მიმდინარე წლის დასაწყისში ზნაურის რაიონის სოფელ ყორნისის კოლმეურნეობის „ახალი ცხოვრების“ პირველადი პარტიული ორგანიზაციის კრებამ განიხილა საკითხი: საგაზაფხულო ხვნა-თესვისათვის მზადება და ჩვენი ამოცანები.

საკითხი წინასწარ კარგად იყო მომზადებული. პარტიულ კრებაზე მის განხილვაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს კომუნისტებმა ლ. ფარასტაევმა, ლ. ვალიევმა, კ. ჯანაევმა, ი. ხასიევმა და სხვ. ისინი აღნიშნავდნენ, რომ კოლმეურნეობის გამგეობას საგაზაფხულო თესვისათვის მზადებაში აქვს სერიოზული ნაკლი, ჯერ კიდევ არ არის დაწყებული გუთნების რემონტი, არ არის მომზადებული თესლი, არ დაუწყიათ მინდვრად ნაკელის გატანა, მუშა პირუტყვი გაძლიერებულ კვებაზე არ არის გადაყვანილი. კრებაზე აღინიშნა ისიც, რომ პარტორგანიზაციის მდივანი ლევან თედეევი დღემდე გულგრილად ეკიდება თესვისათვის მზადების საქმეს, სუსტად მუშაობენ აგიტატორები, არ გამოდის კედლის გაზეთი.

პარტიულმა ორგანიზაციამ დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი. გაჩაღდა მუშაობა ამ ღონისძიებათა განსახორციელებლად. პარტორგანიზაციის მდივნის ლ. თედეევის ხელმძღვანელობით მეორე დღესვე წესრიგზე იქნა მოყვანილი კოლმეურნეობის სამჭედლო. სწრაფად და ხარისხოვნად დაიწყეს გუთნებისა და სხვა იარაღების რემონტი. კრების შემდეგ, პირველ 5 დღეში საკოლმეურნეო მინდვრებზე გატანილ იქნა 200-ზე მეტი მარხილი ნაკელი. მინდვრად ნაკელის გატანის დროს დღიურ ნორმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებდნენ კომუნისტები ლენტო ვალიევი, პართენ ჯანაევი, გიგო ფარასტაევი.

საიმედოდ ინახება საკმაო რაოდენობის მაღალხარისხოვანი თესლი.

კოლმეურნეობაში მომუშავე აგიტატორები — კომუნისტები ს. ბესტაევა, ა. ცხოვრებოვა და ს. ჯიოევა ყორნისელ კოლმეურნეებს მოუთხრობენ საგაზაფხულო ხვნა-თესვისათვის კარგად მომზადების მნიშვნელობაზე, რაზმავენ მათ ამ დიდი სამეურნეო კამპანიისათვის. საკოლმეურნეო კედლის გაზეთმა, რომელსაც ს. ჩახოევი რედაქტორობს, მიმდინარე წლის იანვრის ნომერში გამოაქვეყნა კორესპონდენციები, რომლებშიც ასახულია საგაზაფხულო ხვნა-თესვის მიმდინარეობა.

კოლმეურნეობა „ახალი ცხოვრება“ მომზადებული ხვდება საგაზაფხულო ხვნა-თესვას. ამაში მცირე წვლილი როდი მიუძღვის პარტორგანიზაციას.

მაგრამ მიღწეულით არ უნდა დავკმაყოფილდეთ. პარტიულმა ორგანიზაციამ უნდა შეამოწმოს—ხომ არაფერია კიდევ საჭირო, რომ გაზაფხულს სრული მზადყოფნით შევხვდეთ.

ვ. გელაშვილი
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ფოთის საქალაქო კომიტეტის პლენუმი

შესდგა საქართველოს კ. პ. (ბ) ფოთის საქალაქო კომიტეტის პლენუმი. პლენუმზე პარტიის ზრდისა და საკავშირო კ. პ. (ბ) რიგებში ახალმიღებულებთან მუშაობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა პარტიის საქალაქო კომიტეტის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების გამგე ამხ. ი. შურღაია.

— საანგარიშო პერიოდში—ამბობს ის,—პარტიის რიგებს 114 კაცი შეემატა. ახალმიღებულთა უმრავლესობა წამყვანი პროფესიის მუშებია. პარტიის რიგების ზრდისათვის კარგად იმუშავეს ნავსადგურის, რკინიგზის კვანძის, გრეიპფრუტის საბჭოთა მეურნეობის, სამრეწველო კომბინატის პარტიულმა ორგანიზაციებმა. გაძლიერდა პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა უპარტიო აქტივთან, ახალგაზრდა კომუნისტებთან.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს კ. ქვანიამ (ნავსადგური), გ. გოროდინმა (ორჯონიკიძის სახელობის ქარხანა), ხ. დავითაიამ (წისქვილკომბინატი), ვ. მიქიაშვილმა (მრეწველობის კომბინატი), რ. ხურციამ (პურკომბინატი), ა. მიქაბერიძემ (პარტკაბინეტი), ვ. ლოლუამ (პატარა ფოთი).

მეორე საკითხზე — გრეიპფრუტის საბჭოთა მეურნეობის 1946 წლის მუშაობის შედეგებისა და 1947 წლის საგაზაფხულო სამუშაოებისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ—მოხსენებით გამოვიდა მეურნეობის დირექტორი ამხ. ა. ჭყონია.

მოხსენების გამო კამათში მონაწილეობა მიიღო 6-მა კაცმა.

პლენუმის მუშაობა შეაჯამა საქართველოს კ. პ. (ბ) ფოთის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. გ. კოკაიამ.

პლენუმმა ორივე საკითხზე მიიღო სათანადო დადგენილებანი.

ა. წურწუმია
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

უშიშროების საბჭოში

ნიუ-იორკი, 11 თებერვალი. (საკდესი) გუშინ უშიშროების საბჭომ განიხილა უშიშროების საბჭოს საბერძნეთში მყოფი კომისიის წერილი, რომელშიც საბჭოს სთხოვდნენ გამოეთქვა აზრი ამ საკითხზე, თავისი რწმუნების ფარგლებში მოქმედებდა თუ არა კომისია, როდესაც მან აჩქარებით საბერძნეთის მთავრობას სთხოვა გადედო იმ პირების სიკვდილით დასჯა, რომლებსაც სასიკვდილო განაჩენი ჰქონდათ გამოტანილი პოლიტიკური დარღვევებისათვის.

უშიშროების საბჭომ ცხრა ხმით (ორმა თავი შეიკავა) მოიწონა ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატის მიერ წარმოდგენილი რეზოლუცია, რომელშიც ნათქვამია:

„უშიშროების საბჭოს მიაჩნია, რომ კომისიას, რომელიც მოქმედებს საბჭოს მიერ 1946 წლის 19 დეკემბერს მიღებული რეზოლუციის საფუძველზე, უფლება არა აქვს სთხოვოს საბერძნეთის, ალბანეთის, ბულგარეთისა და იუგოსლავიის სათანადო ხელისუფლებს გადასდონ სიკვდილმისჯილი პირების დასჯა, თუ კომისიას არა აქვს საფუძველი ჩასთვალოს, რომ ყოველი ასეთი პირის, როგორც მოწმის დაკითხვა, ხელს შეუწყობს კომისიას მის მუშაობაში, და თავის თხოვნას არ აყენებს ამ საფუძველზე“.

რეზოლუციის მიღებამდე საბჭომ 8 ხმით 1 ხმის წინააღმდეგ (ორმა თავი შეიკავა) უარჰყო საბჭოთა კავშირის შესწორება, რომელშიც ნათქვამია, რომ საბჭო იღებს საერთო განცხადებას იმის შესახებ, რომ კომისიას არა აქვს რწმუნება მიმართოს ასეთი თხოვნებით, მაგრამ სპეციალურად იწონებს კომისიის თხოვნას საბერძნეთის მთავრობისადმი იმ საფუძველზე, რომ ეს თხოვნა უშუალოდ არის დაკავშირებული კომისიის მიერ თავისი ამოცანის შესრულებასთან.

უშიშროების საბჭოს სხდომის დასაწყისში საბჭოს თავმჯდომარემ ვან ლანგენ ჰოვემ აღძრა საკითხი, სურს თუ არა საბჭოს მოიწვიოს ბულგარეთის, იუგოსლავიის, საბერძნეთისა და ალბანეთის წარმომადგენლები მონაწილეობა მიიღონ კომისიის წერილის განხილვაში.

სსრ კავშირის დელეგატმა გრომიკომ განაცხადა, რომ ასეთი გადაწყვეტილების გამოტანა სავალდებულო არ არის, რადგან დასახელებული ქვეყნების წარმომადგენელთა მონაწილეობა ავტომატური გახდება, რამდენადაც საბჭომ, როდესაც საბერძნეთის მთავრობამ თავისი საჩივარი წარმოადგინა, გადაწყვიტა მოეწვია ოთხი ქვეყნის წარმომადგენლები განხილვაში მონაწილეობის მისაღებად.

ავსტრალიის წარმომადგენელმა ჰეზლაკმა განაცხადა, რომ აღნიშნული ოთხი ქვეყნის მონაწილეობა განხილვაში ავტომატური გახდება მხოლოდ მაშინ, თუ ეს საკითხი წარმოადგენს არსებით საკითხს. მაგრამ ჯერ კიდევ ცხადი არ არის, არსებითი საკითხია იგი თუ პროცედურის საკითხი.

თავმჯდომარემ ვან ლანგენ ჰოვემ გამოთქვა აზრი, რომ წერილი არ ეხება საკითხს არსებითად.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა ჯონსონმა საბჭოს მოუწოდა თავი აარიდოს საკითხის არსის განხილვას და კომისიას გაუგზავნოს „პასუხი, რომელიც განსაზღვრავს მის ფუნქციებს და რწმუნებებს“.

გრომიკომ განაცხადა, რომ ეს საკითხი, უდავოდ, არსებითი საკითხია და არა პროცედურული, და მტკიცედ მოითხოვდა მის სრულ განხილვას იმისათვის, რომ გამოტანილი ყოფილიყო გადაწყვეტილება. საბერძნეთში გამოძიების ჩამტარებელი კომისია თავის წერილში პირდაპირ თხოულობდა აზრს იმ მოქმედების შესახებ, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული საბჭოს მითითებით დაწყებულ მუშაობასთან. გრომიკომ აღნიშნა, რომ მას არ შეეძლო გაიგოს, თუ რატომ სურს ზოგიერთ წევრს განიხილოს საკითხი უშუალოდ დაინტერესებული ოთხი ქვეყნის წარმომადგენელთა დაუსწრებლად, და სთქვა, რომ მას სურს რამდენიმე პირდაპირი კითხვის მიცემა, და იკითხა, ვინ მიასუხებს ამ კითხვებზე, თუ ოთხი ქვეყნის წარმომადგენლები არ დაესწრებიან. მისი სიტყვით, მათი არდაშვება პირდაპირ ეწინააღმდეგება საბჭოს წინადადებას სრული და თავისუფალი განხილვის ჩატარების შესახებ. ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი ჯონსონი, როგორც სჩანს, საკითხს მეტად მარტივად სთვლის. მაგრამ, განაცხადა გრომიკომ, კომისიისათვის პასუხის შედგენა მარტო წმინდა მექანიკურ პროცესს როდი წარმოადგენს.

საფრანგეთის დელეგატმა დე ლა ტურნელმა აგრეთვე გამოსთქვა აზრი კომისიის წერილის არსებითად განხილვის წინააღმდეგ.

შემდეგ საბჭომ რვა ხმით სამის წინააღმდეგ უარჰყო გრომიკოს წინადადება.

ამის შემდეგ საბჭომ დაიწყო განხილვა ამერიკის შეერთებული შტატების რეზოლუციისა კომისიის წერილის გამო. ინგლისის წარმომადგენელმა კადოგანმა განაცხადა, რომ იგი მხარს უჭერს ამ წინადადებას. გრომიკო მტკიცედ მოითხოვდა, რომ საბჭომ მოიწონოს კომისიის თხოვნა, მიმართული საბერძნეთის მთავრობისადმი. მან განაცხადა, რომ კომისია თავისი ამოცანის შესრულებისას წააწყდა კონკრეტულ ფაქტებს, რომლებიც მოქმედებას მოითხოვენ. კომისიამ ათობით და ასობითაც კი მიიღო პეტიციები საბერძნეთში პოლიტიკურ პატიმართა სიკვდილით დასჯის გამო. კომისიამ სწორად გადაწყვიტა, რომ თუ იგი მიმართავს თხოვნით სიკვდილის დასჯის გადადების შესახებ, ეს შეამსუბუქებს მის მუშაობას. იმ დროს, როდესაც კომისია აწარმოებს უშიშროების საბჭოს მითითებით დაწყებულ გამოკვლევას, საბერძნეთში აპირებენ სიკვდილით დასაჯონ ის ადამიანები, რომლებიც იცავდნენ ელემენტარულ დემოკრატიულ უფლებებსა და თავისუფლებას. თუ საბჭო შეისწავლის გარემოებებს, იგი მიხვდება, რატომ არის დასაბუთებული კომისიის მოქმედება და რატომ არ შეეძლო კომისიას სხვანაირად მოქცეულიყო. ამერიკის შეერთებული შტატების რეზოლუცია არადამაკმაყოფილებელია, რადგან იქ ნათქვამი არ არის, რომ კომისია სწორად მოქმედებდა, და ნაჩვენები არ არის ამისი მიზეზები.

ავსტრალიის წარმომადგენელმა ჰეზლაკმა მხარი დაუჭირა ამერიკის შეერთებული შტატების რეზოლუციას.

პოლონეთის წარმომადგენელმა მიხალოვსკიმ შეიტანა შესწორება, რომელშიც ნათქვამია, რომ კომისიას არ დაურღვევია თავისი ფუნქციები და რწმუნებანი. მაგრამ მას რჩევა ეძლევა, რათა მომავალში გამოიჩინოს „განსაკუთრებული სიფრთხილე“. ეს შესწორება საბჭომ არ მიიღო.

გრომიკომ განაცხადა, რომ მას აგრეთვე სურს წარმოადგინოს შესწორება, მაგრამ მისი თარგმანი მზად არ არის, და ამიტომ წინადადება შეიტანა შესწყდეს სხდომა საღამომდე, რასაც საბჭო დასთანხმდა.

საღამოს სხდომაზე მას შემდეგ, რაც გრომიკომ წარადგინა თავისი შესწორება, ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი ჯონსონი გამოვიდა მტკიცებით, საბჭოთა კავშირის შესწორება მიუღებელია.

განხილვა დამთავრდა ამერიკის შეერთებული შტატების ზემოთმოყვანილი რეზოლუციის მიღებით.

გიორგი ლეონიძე

თბილისო

იქ, სადაც შენი გულია,
სულ მუდამ გაზაფხულია;
იქ, სადაც შენი მტკვარია,
სიცოცხლე სანუკვარია;
შენი ცა ვარსკვლავმჩენია,
შენი სიცოცხლე ჩემია.
გულში ჩამდგარი ღიმილი,
შენი ცის ნავერცხლარია,
ლექსში რომ ცეცხლი ირხევა,
ის შენი ნაკვერცხალია,
იქ, სადაც შენი გულია,
სულ მუდამ გაზაფხულია!

* * *

შენგან დაწნული სიმებით,
მოვაოქროვე იმედი,
აღარც დაჭრილი გედი ვარ,
არც წეროს მწკრივის კენტი ვარ!
ვარ მოაშიკე შენი მზის
და მეჭაშნიკე მარადი, —
შენი მშობლური სიტკბოსი,
ჩემი საფლავის კარამდის!
ვინ ამოცალოს ჩანჩქერი,
ჩანჩქერს რათ უნდა ღარები?
შენი თაფლური ღვარების
გულმა რაც სიტკბო დალია,
ის მხოლოდ ნაათალია!..

* * *

მიყვარს შენი ხმა სალხინო,
შენი ყიჟინა მხედრული,
მთაწმინდის თავზე, —
სამშობლოს დიდება
გადმოხედული;
გოლგოთის მთაზე მეტეხი, —
ქართლის ჯვარცმების ტაძარი,
და ნარიყალა დაჭრილი,
ძველი სიზმრებით დამწვარი.
მე მიყვარს შენი ქუჩები,
შენი ცხოვრება მღელვარე;
შენ, როგორც ფარჩა სადროშე,
ხარ მხიარული, ელვარე!
მე მიყვარს შენი ბაღების
თარფეული და ნობათი,
ხილის შუქში რომ ბრწყინვალებს
შენი აწმყო და მყობადი...
მე მიყვარს მტკვრის ოროველა,
მტკვარზე ალვების რხევანი,
ბერიას რგული ხევანი...
შენს თოვლდაბუმბლულ ხეებშიც,
მესმის, მაისი შრიალებს;
მცხეთას და ლილოს გავხედავ,
ოცნება გამაერიალებს, —
იქ, სადაც შენი გულია,
სულ მუდამ გაზაფხულია!

* * *

კვლავ დგეხარ სიდარბაისლით,
ვერ შეგიყიენეს მაისი...
მტერმა მოსულმა შუბითა,
სუდარი ზიდა უბითა,
შენ კი, სიცოცხლეს გიმღერით,
ათასი ვარდისუბნიდან!

* * *

ვით, როგორ დაითვალება,
ვაჟკაცი არწივთვალება,
ვინც სისხლის ნაწვეთალებად
ზედ დაგაფრქვია სიცოცხლე,
დაგანდო სულის ნაღვარი...
ჩონგურით გასტუმრებული,
დაბრუნებულა ნაღარით.
თან შენი მიწა დაჰქონდათ,
და ბღუჯა დედის ჭადარის!
რაც შენმა ფუძემ მტრის სისხლი,
ხმალის ღარიდან დალია,
იმ დანადინარ თქეშისა, —
შავი ზღვაც ნაათალია!..

* * *

შენს კარიბჭესთან, ოდესღაც,
ისმოდა მტერთა გუგუნი,
დღეს გაზაფხული გუგუნებს
სტალინურ მზის საუკუნის!
რამდენი გაზაფხული დგას,
შენს კართან დანაჯარები, —
ხვალ სამგორიდან წამოვლენ
შენზედ ხეივნის ჯარები,
მტრის ურდოების მაგივრად,
რომ გიბნელებდნენ მოედანს...
ხვალ სამგორიდან ნიავი
ნარგიზის სურნელს მოიტანს.
ხვალ, მტრის საუვირის სანაცვლოდ
და ზარის სულთამხუთავის,
სიცოცხლის ხმებით დარეკავს,
ცხელი ფოლადი რუსთავის!
ხვალ შენ ტყის გვირგვინს დაიდგამ,
ნასხივარს ხრამის ლამპარით,
ხვალ... იმ ხვალინდელ დღეების,
ქარო, მომიტა ამბავი!
ხვალე და ზეგაც იტყვიან, —
თბილისი ოქროს თვალია!
მაგრამ რაც დღეს ხარ, ხვალისთვის,
ის მხოლოდ ნაათალია...

* * *

აფრენილ ხოხბის ქალაქო,
გული ვარდებით ირთვება,
ცხრა მტკვარი სიყვარულისა,
ჩემს ძარღვში მოეზვირთება!
მე შენი უბის შვილი ვარ,
ლექსებს რომ ღამეს უთევდა,
შენი ყელპრელი სტვირი ვარ,
კრწანისში მტერს რომ უტევდა!
გიმღერ და მასაც ვუმღერი,
რაც ფესვში ჩასახულია,
რაც შენ კოკორში, თბილისო,
საფურჩქნად განზრახულია!
იქ, სადაც შენი გულია,
სამშობლოს გაზაფხულია.

9 თებერვალი.
თბილისი.

რუსთავის ახალ საწარმოთა პირველი პროდუქცია

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების წინადღეს—8 თებერვალს ამუშავდა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის პირველი დამხმარე საწარმოები, რომლებმაც უკვე იწყეს პროდუქციის გამოშვება.

კარგად დაიწყო მუშაობა სარემონტო-მექანიკურმა საწარმომ. მას ამჟამად მიღებული აქვს 12 სხვადასხვა დაკვეთა. საწარმომ უკვე დაამზადა 5-ტონიანი ბოვისა და თუჯსადნობი ღუმელის ნაწილები. შეუდგნენ მეორე 5-ტონიანი ბოვის კეთებას. წარმატებით მიმდინარეობს დანარჩენი დაკვეთების შესრულებაც. ამზადებენ მოსაბრუნებელ ამწევებს, ეშელსიის ამზელს, სამსხმელო საამქროსათვის საჭირო ციცხვებს, 50-ტონიან ურიკებს, დაზგათა სათადარიგო ნაწილებს და მთელ რიგ სხვა პროდუქციას. მუშაობის საუკეთესო მაგალითებს იძლევიან ხარატი ამხ. ჩიქოვანი, ხარატთა ბრიგადის ხელმძღვანელი ამხ. ბელოუსოვი და პალარავ დაზგებზე მომუშავეთა ხელმძღვანელი ამხ. ეფიმოვი.

მთელი დატვირთვით მუშაობს ლითონკონსტრუქციათა საამქრო. ამ საამქროს კოლექტივს დაკისრებული აქვს მეტალურგიული ქარხნის სხვადასხვა საამქროთა დადგმულობებისათვის საყრდენებისა და ლითონ-კონსტრუქციების დამზადება, სამჭედლო საწარმოსათვის მოსაბრუნებელი ამწის გაკეთება, ლითონსამსხმელო საწარმოსათვის გამდნარი ლითონის სათავსების, ვედროების, დიდი ციცხვების და სხვა ხელსაწყოების გამოშვება. ყველა ამ დავალებათა შესასრულებლად ლითონკონსტრუქციათა საამქროს კოლექტივი წარმატებით მუშაობს.

ახლად ამუშავებულმა სამჭედლო საწარმომაც გამოუშვა თავისი პირველი პროდუქცია. აქ ამზადებენ სხვადასხვა საამქროების ტექნიკური აღჭურვილობის დასამთავრებლად საჭირო ნაწილებს, მრავალნაირ ხელსაწყო-ინსტრუმენტებს.

პ. პეტრიაშვილი
„კომუნისტის“ კორესპონდენტი

ქართული ავტომობილი

მიმდინარე წლის ბოლოს ქუთაისის საავტომობილო ქარხანა გამოუშვებს პირველ ქართულ ავტომობილს „ზის-150“. ეს იქნება მაღალი კლასის მძლავრი საბარგო მანქანა.

როგორია ქართული საბარგო ავტომობილის ტექნიკურ-კონსტრუქციული თავისებურებანი და საექსპლოატაციო ღირსებანი?

ჩვენებური ავტომობილის კონსტრუქციის დამუშავებისას გათვალისწინებულია საქართველოს საავტომობილო გზების ყველა თავისებურებანი. ავტომობილი ადვილად სამართავია, მანევრირების მაღალუნარიანი, ეკონომიურად ხარჯავს საწვავს და გამძლეა. „ზის-150“-ის მექანიზმები მონტაჟისა და დემონტაჟის საწარმოებლად მეტად ადვილად მისადგომი და მოსახერხებლად განლაგებული არიან.

ქართული ავტომობილის ტექნიკური მონაცემები ასეთია:

1. ტვირთტევადობა—3,5 ტონა, სიგრძე—6.720 მილიმეტრი, სიგანე — 2.385 მილიმეტრი, სიმაღლე—2.175 მილიმეტრი, ბაზა (მანძილი ღერძებს შორის)—4.000 მილიმეტრი, მაქსიმალური სიჩქარე 65 კილომეტრი საათში, საერთო წონა უტვირთოდ 3.900 კილოგრამი, ბენზინის ხარჯვა—100 კილომეტრზე 30 ლიტრი, ბენზინის ავზის ტევადობა—150 ლიტრი, სიმძლავრე ძრავისა—90 ცხენისძალა 2.700-ჯერ ბრუნვის დროს წუთში (რეგულატორით). ავტომობილს ყველა თვლებზე პნევმატიკური მუხრუჭები აქვს. კაბინი სამადგილიანია, ელექტრომოწყობილობა 12 ვოლტიანი, აკუმულატორი 24 ვოლტიანი.

ჩვენებური ავტომობილი გარეგნულად ლამაზი იქნება და საექსპლოატაციოდ მარტივი.

ინჟინერი **ი. ჯაში**

ალებულ ტემპს ინარჩუნებენ

9 თებერვლის საყოველთაო სახალხო ზეიმის დღე ახალი მიღწევით აღნიშნეს თბილისის რადიოქარხნის მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა. მათ ამ დღისათვის გამოუშვეს ახალი კონსტრუქციის რადიო-სატელეგრაფო აგრეგატი. აგრეგატის გამოცდამ წარმატებით ჩაიარა. ახლა ქარხანაში იწყებენ ასეთი აგრეგატების მასობრივად დამზადებას.

არჩევნებისათვის მზადების პერიოდში ქარხნის კოლექტივმა მრავალ სხვა წარმატებასაც მიაღწია. მარტო იანვრის განმავლობაში მან სახელმწიფოს თვიური გეგმის გადამეტებით მისცა 52.000 მანეთის პროდუქცია — კავშირგაბმულობის აპარატურა და დეტალები. თებერვლის პირველი დეკადა ქარხანაში სტახანოვურ დეკადად იყო გამოცხადებული. მაღალი საწარმოო მაჩვენებლების მოპოვებით თავი ისახელეს შ. ბოჭორიშვილმა, დ. მაისურაძემ, ა. დავლიახიძემ, ვ ხუციძემ, ლ. ქუმიშვილმა და სხვ.

არჩევნების შემდგომ დღეებში ქარხნის კოლექტივი ინარჩუნებს ალებულ ტემპს.

ქ. მჭედლიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების ხელმძღვანელთა და მასწავლებელთა სარესპუბლიკათაშორისო თათბირი

3-დან 6 თებერვლამდე თბილისში მიმდინარეობდა საქართველოს სსრ, სომხეთის სსრ და აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი სასწავლებლების საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების ხელმძღვანელთა და მასწავლებელთა სარესპუბლიკათაშორისო თათბირი.

თათბირი გახსნა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა პროპაგანდის დარგში ამხ. პ. შარიამ.

პირველ დღეს მოსმენილ იქნა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის სამმართველოს წარმომადგენლის ამხ. ე. ბურჯალოვის მოხსენება იმ ამოცანებზე, რომლებიც ჩვენს წინაშე დგას იდეოლოგიური მუშაობის შესახებ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებათა საფუძველზე საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლებისა და სტუდენტთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის დარგში.

— სოციალისტური მშენებლობა ჩვენს ქვეყანაში, — ამბობს ამხ. ე. ბურჯალოვი, — განუყრელად დაკავშირებულია მილიონობით ადამიანთა მარქსისტულ-ლენინური შეგნების სულისკვეთებით აღზრდის პროცესთან. საბჭოთა ადამიანებმა შეიძინეს ახალი თვისებანი — სოციალისტური საზოგადოების შეგნებულ მშენებელთა თვისებანი. როგორც სამართლიანად აღნიშნა ამხანაგმა ჟდანოვმა მოხსენებაში ჟურნალების „ზვეზდისა“ და „ლენინგრადის“ შესახებ, ჩვენ დღეს ის აღარა ვართ, რაც გუშინ ვიყავით, ვინაიდან ჩვენ გავიზარდეთ იმ უდიდეს გარდაქმნებთან ერთად, რომლებმაც ძირიანად შესცვალეს ჩვენი ქვეყნის სახე. ჩვენს, საბჭოთა საზოგადოებაში გაბატონებული გახდა სოციალისტური დამოკიდებულება შრომისა და საზოგადოებრივი საკუთრებისადმი, ხალხთა მეგობრობის იდეოლოგია, საბჭოთა პატრიოტიზმი, მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა. ყოველივე ამან ყველაზე მკაფიოდ იჩინა თავი სამამულო ომის პერიოდში. ჩვენ ამ ომში გავიმარჯვეთ არა მარტო ჩვენი პირველხარისხოვანი შეიარაღებითა და მხედრული ოსტატობით, არამედ გავიმარჯვეთ ჩვენი მოწინავე იდეოლოგიითაც, საბჭოთა ადამიანების მაღალი მორალური თვისებებით. მაგრამ ეს არავითარ საფუძველს არ გვაძლევს თვითდამშვიდებისათვის. კაპიტალიზმის ნაშთები ადამიანთა შეგნებაში ჯერ კიდევ საგრძნობია. ყველას ესმის, რომ ჩვენი ქვეყნის ისტორიული განვითარების ახლანდელ ეტაპზე საქმე დამოკიდებულია არა მარტო აშენებული ქარხნების რაოდენობაზე, არა მარტო გამომუშავებული პროდუქციის რაოდენობაზე, არამედ ადამიანთა მაღალ შეგნებაზეც. რაც უფრო მაღალი იქნება ეს შეგნება, მით უფრო მალე მივაღწევთ ჩვენს სანუკვარ მიზანს — კომუნიზმს. სწორედ ამიტომ იდეურ-პოლიტიკურ მუშაობას, სოციალისტური შეგნების ამაღლებას ასე უდიდესი, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

მაგრამ რას ნიშნავს ადამიანების აღზრდა ბოლშევიკური იდეურობის სულისკვეთებით? ეს ნიშნავს იმას, რომ ჩაუნერგო მათ მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის იდეები, შეაიარაღო ისინი ლენინიზმით.

მომხსენებელი ლაპარაკობს უიდეობის იმ გამოხატულებებზე ლიტერატურასა და ხელოვნებაში, რომლებიც აღნიშნული იყო საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ცნობილი გადაწყვეტილებებით, და აღნიშნავს, რომ ეს საზოგადოებრივ მეცნიერებათა სფეროსაც ეხება.

— საჭიროა, — განაგრძობს მომხსენებელი, — მთელი ჩვენი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა და უმაღლეს სასწავლებლებში სწავლება გავმსჭვალოთ მებრძოლი პარტიულობის სულისკვეთებით, ბოლშევიკური მგზნებარებით. საჭიროა მეტი შემოქმედებითი ცეცხლი შევიტანოთ სამეცნიერო მუშაობაში, დაუცხრომლად ვიმუშაოთ სრულფასოვანი სახელმძღვანელოების შესაქმნელად და ძირიანად გავაუმჯობესოთ სწავლების საქმე, რათა მთლიანად შევასრულოთ ის ამოცანები, რომლებიც დასახულია ჩვენს წინაშე საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ.

თავისი მოხსენების დასკვნით ნაწილში ამხ. ბურჯალოვმა აღნიშნა ის უდიდესი მნიშვნელობა, რაც ამ ამოცანების გადაჭრისათვის აქვს მეცნიერული კრიტიკისა და თვითკრიტიკის შემდგომ გაშლას.

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო ოცმა კაცმა.

ამხ. ვ. დონდუამ — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის კათედრის წევრმა, თავისი გამოსვლა მიუძღვნა საქართველოს ისტორიის დამუშავებისა და სწავლების საკითხებს. ამხ. დონდუამ თავისი სიტყვა დაამთავრა წინადადებით — დამყარდეს ამიერკავკასიის რესპუბლიკების მეცნიერული კადრების სისტემატური, ცოცხალი ურთიერთობა, რათა მუშაობაში თავიდან აცილებულ იქნას შეცდომები და ნაკლოვანებანი, რომლებიც ჩვენი ისტორიული მეცნიერების ახლანდელი დონის პირობებში ადვილად აღმოსაფხვრელია.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტთან არსებული პარტიული სკოლის მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის ხელმძღვანელმა ამხ. ნ. მახარაძემ თავისი გამოსვლა მიუძღვნა უმთავრესად საქართველოს XIX საუკუნის ისტორიისა და ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკვანძო საკითხებს. ამხ. მახარაძემ მოიყვანა საინტერესო ცნობები კავკასიაში დეკაბრისტების მოღვაწეობის, საქართველოში ჩერნიშევსკის ფართო პოპულარობის, საქართველოში მარქსიზმის გავრცელების ადრეული წყაროების შესახებ.

ამხ. მახარაძე აღნიშნავს, რომ ჩვენი პრესა ჯერჯერობით ნაკლებად ათავსებს საქმიან კრიტიკულ სტატიებს მეცნიერულ ნაშრომებზე. ამავე დროს კი ცნობილია, ხაზგასმით აღნიშნავს იგი, რომ კრიტიკა ამაღლებს ავტორთა პასუხისმგებლობას თავიანთი ნაშრომებისათვის.

ამხ. ა. ასლანიანმა — ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის კათედრის ხელმძღვანელმა, ილაპარაკა კათედრის კადრების სამეცნიერო მუშაობაზე, ჩვენი თანამედროვეობის თემებზე დაწყებულ და განსახორციელებლად დასახულ შრომებზე. მთელ რიგ ნაშრომთა ნაკლად ამხ. ასლანიანი სთვლის გადმოცემის სიმშრალეს.

ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკური ეკონომიის კათედრის ხელმძღვანელი ამხ. გ. დადაშევი თათბირზე გამოვიდა ამასწინათ დამთავრებული საგამოცდო სესიის შთაბეჭდილებით და მთელი რიგი შენიშვნები გააკეთა სტუდენტთა ახალგაზრდობის სწავლების საკითხზე. მან აღნიშნა, რომ ზოგიერთმა სტუდენტმა ჯერ კიდევ ვერ მიაღწია მტკიცე ცოდნას, ფორმალურად შეითვისა გავლილი კურსი. ამის მიზეზი, ამხ. დადაშევის აზრით, არა მარტო ამათუიმ მასწავლებლის სისუსტეა, არამედ ისიც, რომ ბევრი სახელმძღვანელო არა გვაქვს.

თბილისის ზოოვეტერინარული ინსტიტუტის დირექტორმა ნ. ცომაიამ თათბირზე აღძრა მეტად მნიშვნელოვანი საკითხი სტუდენტობაში კულტურულ-მასობრივი და აღმზრდელობითი მუშაობისა და ამ მუშაობაში მწერალთა, მსახიობთა და ხელოვნებისა და მეცნიერების სხვა მოღვაწეთა ფართო აქტივის ჩაბმის შესახებ.

ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკური ეკონომიის კათედრის ხელმძღვანელმა ამხ. ზ. ბაშინჯაღიანმა ყურადღება გაამახვილა სამეცნიერო მუშაობის დაგეგმვის საკითხებზე.

შემდეგ ამხ. ბაშინჯაღიანმა ილაპარაკა უნივერსიტეტის პოლიტიკური ეკონომიის კათედრის მიერ არჩეულ კომპლექსურ თემაზე „სოციალისტური გაფართოებული რეპროდუქცია საბჭოთა სომხეთის ეკონომიკაში“.

დოცენტი დ. მშვენიერაძე ეთანხმება წინა ორატორის გამოსვლას და მოუწოდებს თათბირის მონაწილეთ დაძლეულ იქნას კუსტარულობის, არაორგანიზებულობის ელემენტები სამეცნიერო მუშაობაში.

— ზოგიერთი ამხანაგი, — ამბობს იგი, — ხშირად თავიდანვე გეზს იღებს სადოქტორო დისერტაციის დაცვაზე, მაშინ როცა ჯერ კიდევ არა აქვს დაბეჭდილი ნაშრომები. განა არ სჯობია ჯერ დაამუშაოს თემები, დასწეროს, გამოსცეს წიგნები და უკვე შემდეგ ის შრომა, რომელსაც ყველაზე მეტი წარმატება ექნება, დაიცვას სადოქტორო ხარისხისათვის.

აზერბაიჯანის პედაგოგიური ინსტიტუტის ზოგადი ისტორიის კათედრის ხელმძღვანელი ამხ. ა. სუმბათ-ზადე მხარს უჭერს ამხ. ვ. დონდუას წინადადებას სამეცნიერო კადრების ცოცხალი, სისტემატური ურთიერთობის დამყარების შესახებ. იგი ავითარებს ამ აზრს და წინადადებას იძლევა ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების ისტორიის ყველა პრინციპული საკვანძო საკითხი დამუშავებულ იქნას ერთმანეთთან მჭიდრო თანამშრომლობით.

ერევნის რუსული პედაგოგიური ინსტიტუტის მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის მუშაობის გამოცდილება გაუზიარა თათბირის მონაწილეთ კათედრის ხელმძღვანელმა ამხ. გ. ვართანიანმა.

სასწავლო ლიტერატურის ნაკლებობა, ხელნაწერის უფლებით თუნდაც იმ ლექციების გამოცემის აუცილებლობა, რომლებსაც სტუდენტებს უკითხავენ, და ამასთან ერთად სრულფასოვანი სახელმძღვანელოების შექმნისათვის მუშაობის საჭიროება აღნიშნა თავის გამოსვლაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობის ისტორიის კათედრის ხელმძღვანელმა ამხ. დ. ენუქიძემ.

ამხ. გ. სიმონიანმა — აზერბაიჯანის სახალხო მეურნეობის სახელმწიფო ინსტიტუტის მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის ხელმძღვანელმა, თათბირის მონაწილეთ გააცნო კათედრის მუშაობის გეგმა და ამასთან აღნიშნა, რომ მასწავლებელთა შემადგენლობა წელს იწყებს ბაქოსა და აზერბაიჯანის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის მთელი რიგი საკითხების დამუშავებას.

თათბირზე სასწავლო გეგმების საკითხი დააყენა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სსრ კავშირის ხალხთა ისტორიის კათედრის ხელმძღვანელმა ამხ. გ. ხაჰაპურიძემ. მას მიაჩნია, რომ სასწავლო გეგმებში მეტად ხშირად შეაქვთ ცვლილებანი და რომ საჭიროა მიღწეულ იქნას მეტად თუ ნაკლებად მტკიცე გეგმების შედგენა მთელი სასწავლო წლისათვის.

ჩატარებული მუშაობის მიმოხილვით დაიწყო თავისი სიტყვა ამხ. მ. დადაშ-ზადემ, ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ლიტერატურის კათედრის ხელმძღვანელმა. იგი აღნიშნავს, რომ მთელ რიგ ნაშრომებში ნაჩვენები არ არის კლასთა ბრძოლა, არა სჩანს მსოფლმხედველობათა ბრძოლა, სტილთა ბრძოლა. ამხ. დადაშ-ზადე ამბობს, რომ ლენინის სტატიებით ტოლსტოის შესახებ, ლენინისა და სტალინის ნაშრომებით უნდა ვისწავლოთ კრიტიკული ანალიზის ხელოვნება.

ამხ. ს. ქუთათელაძის — თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინსტიტუტის პოლიტიკური ეკონომიის კათედრის ხელმძღვანელის, გამოსვლა მიეძღვნა კათედრის მუშაობის გეგმას და სემინარული მეცადინეობის ჩატარების გამოცდილებას.

კადრების მომზადების, კათედრების პირადი შემადგენლობის ყველაზე მომზადებული მეცნიერ მუშაკებით დაკომპლექტებისა და უმაღლესი სასწავლებლების ნაშრომთა თემატური გეგმის შემუშავების შესახებ შინაარსიანი სიტყვა წარმოსთქვა აზერბაიჯანის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის სექტორის გამგემ ამხ. ა. ალიევმა.

პოლიტიკური ეკონომიის სწავლებაში პირველწყაროების უდიდეს, გადამწყვეტ მნიშვნელობაზე ილაპარაკა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკური ეკონომიის კათედრის ხელმძღვანელმა ამხ. ს. ბერაძემ. მან აღნიშნა მარქსის „კაპიტალის“ ქართულ ენაზე ხელახლა გამოცემის საჭიროება.

ამხ. ა. დარახველიძემ — თბილისის სამხატვრო აკადემიის მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის ხელმძღვანელმა, აღნიშნა, რომ საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს და კონკრეტული დახმარება გაეწიოს სამამულო ომის მონაწილეებს, იმ ამხანაგებს, რომლებიც ფრონტზე ყოფნის გამო მოსწყდნენ სამეცნიერო მუშაობას და ახლა კვლავ დაუბრუნდნენ მას.

საბჭოთა ლინგვისტიკის საკითხებზე გამოვიდა დოცენტი ამხ. ი. გოზალიშვილი, ფილოსოფიის საკითხებზე — შ. ადეიშვილი.

იურიდიული განათლების არსებით საკითხებს შეეხო ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლის კათედრის ხელმძღვანელი ამხ. ვ. კაგრამანოვი.

კამათის დასასრულ ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა უმაღლესი განათლების სამინისტროს უმაღლეს ეკონომიურ სასწავლებელთა მთავარი სამმართველოს უფროსმა ამხ. ა. ხოჯაევმა. მან, უწინარეს ყოვლისა, აღნიშნა, რომ თათბირის მონაწილეთა გამოსვლებში ცოტა იყო მძაფრი კრიტიკა იმ ნაკლოვანებებისა, რაც უმაღლეს სასწავლებელთა სამეცნიერო-კვლევით და სამასწავლებლო მუშაობაში მოიპოვება. ამხ. ხოჯაევი განსაკუთრებით შეჩერდა მომავალი ახალგაზრდა სპეციალისტების იდეურ-პოლიტიკური აღზრდის საკითხზე. შემდეგ მან ილაპარაკა კათედრების სამეცნიერო მუშაობის ჩამორჩენის შეუწყნარებლობასა და ამ ჩამორჩენის გადალახვის გზებზე.

ამხ. ე. ბურჯალოვმა წარმოსთქვა საბოლოო სიტყვა. მან მთავარი ყურადღება დაუთმო სამეცნიერო-სასწავლო მუშაობის და, განსაკუთრებით, ახალი სახელმძღვანელოების ნაკლოვანებათა კრიტიკას. მან თათბირს მოაგონა შემდეგი ამხ. ი. სტალინის, ა. ჟდანოვისა და ს. კიროვის შენიშვნებიდან სსრ კავშირის ისტორიის სახელმძღვანელოს კონსპექტის გამო:

„...საქმე ეხება ისეთი სახელმძღვანელოს შექმნას, სადაც [illegible] ... ასეთი, პარტიული, [illegible] მოკიდებულება [illegible] და თვითეული განს[illegible] გამოიჩინონ ჩვენმა [illegible]რებმა ყოველი [illegible] შედგენისას.

თათბირის უკანასკნელ დღეს ჩატარდა სექციური სხდომები მარქსისტულ-ლენინური თეორიის, პოლიტიკური ეკონომიის, ფილოსოფიის, ისტორიის, იურიდიულ მეცნიერებათა და ლიტერატურის საკითხებზე.

სარესპუბლიკათაშორისო თათბირის საბოლოო სხდომაზე ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა პროპაგანდის დარგში ამხ. პ. შარიამ.

— ის საკითხები, რომლებიც დასმული იყო განსახილველად, — ამბობს ამხ. შარია თავის სიტყვაში, — უთუოდ აქტუალური ხასიათისაა. ისინი დაკავშირებულია ჩვენი ქვეყნის კულტურული და იდეური ცხოვრების გარდაქმნასთან. ისინი დაკავშირებულია საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებებთან იდეოლოგიური მუშაობის საკითხებზე, ამხანაგ სტალინის მითითებებთან [illegible] საკითხებზე. თათბირი [illegible]

შესრულებს არა მარტო მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრებისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების, არამედ მთლიანად უმაღლეს სასწავლებელთა მუშაობის გარდაქმნაში, რადგან აქ ესწრება მეცნიერ მუშაკთა ფართო აქტივი.

საქმე ეხება იდეოლოგიური მუშაობის არა რაიმე ახალ საფუძვლებსა და პრინციპებს, არამედ იმას, რომ [illegible] ყურადღება იდეოლოგიურ მუშაობას, რაც ამ უკანასკნელ ხანს რამდენადმე შესუსტდა. [illegible]

[illegible]

ჩვენი ქვეყნის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე იდეოლოგიურ ფრონტზე ბრძოლას სხვადასხვა შინაარსი, სხვადასხვა მეთოდები და ფორმები ჰქონდა.

[illegible]

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის [illegible]

[illegible]

სარესპუბლიკათაშორისო თათბირის მონაწილეებმა [illegible]

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 1947 წლის 11 თებერვალს გარდაიცვალა თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის წარჩინებული სტახანოველი, საქართველოს მრეწველობაში სტახანოვური მოძრაობის ერთ-ერთი ინიციატორი, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრი

მიხეილ ფილიმონის-ძე გეწაძე

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) თბილისის საქალაქო კომიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 1947 წლის 11 თებერვალს გარდაიცვალა წარჩინებული სტახანოველი, თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის მოწინავე მექვაბე-მუშა, ქალაქის მრეწველობაში სტახანოვური მოძრაობის ერთ-ერთი ინიციატორი, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის წევრი

მიხეილ ფილიმონის-ძე გეწაძე

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომი იუწყება საქალაქო საბჭოს დეპუტატის **მიხეილ ფილიმონის-ძე გეწაძის** გარდაცვალებას.

ამხ. მ. ფ. გეწაძის ხსოვნას

11 თებერვალს მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის წარჩინებული სტახანოველი მიხეილ ფილიმონის-ძე გეწაძე.

ამხ. მ. გეწაძე სტალინის სახელობის ქარხანაში მუშაობდა 1923 წლიდან. მან მოკლე ხანში აითვისა მექვაბემღუნავის ძნელი და რთული პროფესია, თავის მუშაობაში მრავალი ახალი რაციონალიზატორული გაუმჯობესება შეიტანა და მნიშვნელოვნად შეამცირა მის სამუშაო უბანზე მუშახელის რაოდენობა. იგი წარმოების ნოვატორი იყო და შესანიშნავ წარმატებებს მიაღწია შრომის ნაყოფიერების ზრდის საქმეში.

ამხ. გეწაძე საქართველოს მრეწველობაში სტახანოვური მოძრაობის განვითარების ერთ-ერთი ინიციატორი იყო. იგი სისტემატურად სამმაგად და ოთხმაგად ასრულებდა დავალებებს და ცალკეულ დღეებში აღწევდა ნორმების სარეკორდო შესრულებას — 1000 და მეტი პროცენტით.

მოწინავე მუშა-ბოლშევიკი ამხ. გეწაძე დამსახურებული სიყვარულითა და ავტორიტეტით სარგებლობდა ქარხნის ყველა მუშაკთა შორის, აქტიურ მონაწილეობას იღებდა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

თავისი სტახანოვური შრომისათვის ამხ. გეწაძე დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენით, მედლებით „კავკასიის დაცვისათვის“, „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში მამაცური შრომისათვის“, ნიშნებით „საპატიო რკინიგზელს“ და „სტალინური გაწვევის დამკვრელს“.

ამხ. მ. გეწაძე საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის წევრი იყო.

ამხ. მ. გეწაძის ცხოვრება წარმოადგენს ჩვენი დიადი სამშობლოს კეთილდღეობისათვის თავდადებული შრომის მაგალითს. მისი ხსოვნა დიდხანს დაუვიწყარი იქნება.

ვ. გოგუა, ე. ჩერქეზია, ვ. ლოლაძე, ბ. ლელინი, ა. ხუჯაძე, დ. მამაცაშვილი, ა. გაბიჩვაძე, დ. ქიქინაძე, ნ. ლოლაძე, ნ. შანიძე, ლ. მეტრეველი, გ. მატინიანი, ა. მკერვალიშვილი, ი. გრძელიშვილი, გ. ბაქრაძე, ს. ჩხაიძე, ა. ჟეგლოვი, ვ. რაჭველიშვილი, ე. კოშლავაშვილი, ი. მგელაძე, ვ. რუსაძე, ლ. გოგიძე, კ. გონჩაროვი, ა. გოგიჩაიშვილი, კ. ილურიძე, ა. მახარაშვილი, დ. კუპრავა, გ. დაშნიევი, ი. იმერლიშვილი, გ. ხიმონიანი, ვ. გვაზავა, ვ. ჩლაიძე, გ. იუშკევიჩი, გ. ბეგალიშვილი, შ. ჯლანტიაშვილი, დ. ყაულაშვილი, გ. მარიამული, ნ. გოლოვინი, ა. არეშიძე, დ. აბუთიძე, გ. კეჭკეჭიშვილი, ი. ნაზარბეგოვი, მ. მამაგეიშვილი, ი. ბაბაევი, ზ. ნადირაძე.

მზადება საგაზაფხულო თესვისათვის

ტრაქტორების რემონტის ხარისხს შეუნელებელი ყურადღება

ტრაქტორების დროულად და მაღალხარისხოვნად შეკეთება საგაზაფხულო თესვის წარმატებით ჩატარების აუცილებელი პირობაა. გაზაფხული მოახლოვდა, ტრაქტორების რემონტის საქმე კი ძლიერ ჩამორჩა. მთელ რიგ მტს-ებში ნაკლებ ყურადღებას აქცევენ რემონტის ხარისხს, შეკეთებულად სთვლიან ისეთ მანქანებს, რომლებიც მზად არ არიან სამუშაოდ. მრავალი ასეთი ფაქტი გამოამჟღავნეს ამ დღეებში საქართველოს სსრ მიწათმოქმედებისა და საქართველოს სსრ ტექნიკური კულტურების სამინისტროებმა, შეამოწმეს რა ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების რემონტის მიმდინარეობა.

ვანის მტს-ში (დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ამხ. ნიკოლაიშვილი) შეკეთებულად მიჩნეული „სტზ“ მარკის ტრაქტორები № 9, 10 და 11 მოითხოვენ ახალ რემონტს. არადამაკმაყოფილებლად არის შეკეთებული ამ ტრაქტორების გუთნებიც. მტს-ში დაბალია შრომის დისციპლინა. დირექცია და ადგილობრივი პარტიული ორგანიზაცია არ ზრუნავენ სახელოსნოში წესრიგის დამყარებისათვის. სარემონტო სახელოსნოში კერძო სამუშაოებს ასრულებენ მაშინ, როცა ტრაქტორების რემონტის საქმე ასე ცუდადაა დაყენებული.

მსგავს ფაქტებს აქვს ადგილი სტალინირის მტს-ში (დირექტორი ამხ. მ. მოისწრაფეშვილი). მაგალითად, მესამე სარემონტო ბრიგადამ (ხელმძღვანელი ჯიოევი, ტრაქტორისტი ბიგულაევი) „სტზ“ მარკის ტრაქტორის მიმდინარე რემონტი შეასრულა მთელი რიგი დეფექტებით: ძრავს არ ჰქონდა სარქველების ყუთის თავსახური, სარქვლების ღულაკებს კი სახურავი. საჭის მართვის მექანიზმი მოითხოვს განმეორებით რემონტს.

გორის მტს-ში (დირექტორი ამხ. ა. ტლაშაძე) მესამე სარემონტო ბრიგადამ (ხელმძღვანელი თედლიაშვილი) ტრაქტორი კაპიტალურად შეკეთებულად ჩასთვალა მაშინ, როდესაც მას კიდევ აკლდა მთელი რიგი ნაწილები.

მცხეთის მტს-ის მუშაკები აცხადებენ—„სტზ“ მარკის № 21 და 22 ტრაქტორები შეკეთებულიაო, სინამდვილეში კი მათ არ აღმოაჩნდათ სხვადასხვა საჭირო ნაწილები. ამ მტს-ში რემონტისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას ისიც მოწმობს, რომ ტრაქტორებს არემონტებენ არა სახელოსნოში, არამედ ბრიგადირებისა და ტრაქტორისტების ეზოებში. ასეთ პირობებში შეუძლებელია რემონტის ხარისხიანად ჩატარება.

გუდაუთის მტს-ში (დირექტორი ამხ. ჩ. ბარციცი) კაპიტალურად შეკეთებულ ტრაქტორს გასინჯვისას აუარებელი დეფექტები აღმოაჩნდა. აქ ტრაქტორების რემონტს ხელს უშლის ის, რომ დღემდე არ არის მოწყობილი სარემონტო სახელოსნო.

გულრიფშის მტს-ში (დირექტორი ამხ. ჯანჯღავა) შეკეთებულად ჩასთვალეს ისეთი ტრაქტორები, რომელთაც მნიშვნელოვანი ნაწილები აკლდათ. აღსანიშნავია, რომ ტრაქტორების სათადარიგო ნაწილები მტს-ის ეზოში უპატრონოდ ეყარა.

ტრაქტორების რემონტის ხარისხისადმი უდარდელობას იჩენენ შინდისის (დირექტორი ამხ. ზეიადაძე), წალკის (დირექტორი ამხ. ომიაძე), ახმეტის (დირექტორი ამხ. კოხრეიძე) და ყვარლის (დირექტორი ამხ. ბარბაქაძე) მტს-ებიც.

ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები, მტს-ების დირექტორები, უფროსი მექანიკოსები, სატრაქტორო ბრიგადების ხელმძღვანელები ვალდებული არიან მტკიცე კონტროლი დააწესონ ტრაქტორების შეკეთების ხარისხისადმი. ტრაქტორების, კომბაინების რემონტიდან მიღება უნდა ვაწარმოოთ მხოლოდ მათი სათანადოდ გამოსახმარისების შემდეგ.

ტრაქტორების რემონტის ტემპის გაძლიერებასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ რემონტის ხარისხს,—ასეთია ამოცანა.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„რატომ ჭიანურდება თელავის მტს-ში ტრაქტორების რემონტი“

ამ სათაურით „კომუნისტის“ 24 იანვრის ნომერში დაიბეჭდა კორესპონდენცია, რომელშიც გაკრიტიკებული იყო თელავის მტს-ის მუშაობა.

საქართველოს კ. პ. (ბ) თელავის რაიკომის მდივანი ამხ. სილაგაძე გვატყობინებს, რომ კორესპონდენციაში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. „კომუნისტის“ სიგნალთან დაკავშირებით რაიკომის ბიურომ განიხილა ტრაქტორების რემონტის მიმდინარეობის საკითხი და ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად მთელი რიგი ღონისძიებანი დასახა. მიღებულია ზომები ტრაქტორებისა და მისაბმელი ინვენტარის რემონტის გეგმის 15 თებერვლამდე შესასრულებლად.

უკრაინის სსრ მთავრობის განცხადება საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოში მოადგილეთა თათბირისადმი

ლონდონი, 8 თებერვალი. (საკდესი). უკრაინის სსრ წარმომადგენელმა სენინმა საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოში მოადგილეთა გუშინ შემდგარ სხდომაზე ჩამოაყალიბა უკრაინის სსრ მთავრობის თვალსაზრისი გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების საკითხზე.

უკრაინის მთავრობის განცხადებაში აღნიშნულია, რომ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულებით ...

ბელორუსიის სსრ მთავრობის განცხადება საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოში მოადგილეთა თათბირისადმი

ლონდონი, 9 თებერვალი. (საკდესი). გუშინ საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოში მოადგილეთა სხდომაზე ბელორუსიის სსრ საგარეო საქმეთა მინისტრმა კ. ვ. კისელიოვმა ჩამოაყალიბა ბელორუსიის სსრ მთავრობის შეხედულებანი გერმანიის საკითხის მოწესრიგებისის შესახებ. ...

... ამ წინადადებათა წარდგენისას ხელმძღვანელობს გულწრფელი სურვილით — შეიქმნას დემოკრატიული და მტკიცე მშვიდობა ევროპასა და მთელ მსოფლიოში და გამოთქვამს რწმენას, რომ მის მიერ წამოყენებული წინადადებანი განხორციელებას ჰპოვებენ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულებაში.

ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის განცხადება

ნანკინი, 5 თებერვალი. (საკდესი). (მოგვიანებით მიღებული). ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 1 თებერვალს გამოაქვეყნა შემდეგი განცხადება:

„პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭო, რომელიც შედგება ყველა უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური პარტიისაგან, ჯგუფებისა და გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეებისაგან, სანქთ, რომელიც 1946 წლის 10 თვისარს შეიქმნა ...

... ლი კომუნისტურ პარტიასთან და პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს მონაწილე სხვა პარტიებსა და ჯგუფებთან.

კომუნისტურ პარტიას არავითარი განზრახვა არა აქვს იქონიოს რაიმე ვალდებულებანი ზემოხსენებულ შეთანხმებათა და ურთიერთ გაგებათა მიხედვით".

ქალაქ პოლის ამბები

ბელგრადი, 11 თებერვალი. (საკდესი). აქ მიღებულია ცნობები ქალაქ პოლაში უკანასკნელ დღეებში მომხდარი ამბების შესახებ. კვირას, 9 თებერვალს, საღამოს დაახლოებით 10 საათზე ფაშისტებმა ორი ხელყუმბარა შეაგდეს სლოვენია-იტალიის ანტიფაშისტური კავშირის მთავარი კომიტეტის შენობაში. ამასთან მძიმედ დაიჭრა შენობის მცველი 4 ანტიფაშისტი. ერთი დაჭრილთაგანი მეორე დღეს მოკვდა. აფეთქების ცოტა ხნის შემდეგ შემთხვევის ადგილზე მივიდნენ ინგლისელი ჯარისკაცები, მაგრამ იმის ნაცვლად, რომ შეეპყროთ ბანდიტები, ჯარისკაცები გამვლელთ ემუქრებოდნენ. ბოლოს, სლოვენია-იტალიის ანტიფაშისტური კავშირის საქალაქო კომიტეტის შენობასთან მივიდა ორი ინგლისელი სამხედრო პოლიციელი, რომლებმაც რაღაც გაურკვეველი მიზეზით ჩხრეკა დაუწყეს საქალაქო კომიტეტის შენობის სარდაფს.

ღამის თორმეტის ნახევარზე სამმა ფაშისტმა ხელყუმბარები შეაგდო გაზეთ „ილ ნოსტრო ...

... შორეთა ხელისუფლებმა აკრძალეს ქალაქში მიძრაობა დღის 14 საათიდან დილის 7 საათამდე. ქალაქის ქუჩებში პატრულობენ სამხედრო და სამოქალაქო პოლიციის გაძლიერებული რაზმები, რომლებიც ავტომატებით არიან შეიარაღებულნი. ქუჩების ჯვარედინებზე დაყენებულია ტანკები.

პოლაში მომხდარ ამბებთან დაკავშირებით ქალაქის სახალხო-განმათავისუფლებელმა კომიტეტმა მოსახლეობას მიმართა მოწოდებით, სადაც აღნიშნავს, რომ ეს ამბები შედეგია ახალი ანარქიისა, რომელიც უკანასკნელ დღეებში გამეფებულია ქალაქში, და რომ სლოვენია-იტალიის ანტიფაშისტური კავშირის საქალაქო კომიტეტისა და გაზეთ „ილ ნოსტრო ჯორნალეს" რედაქციის შენობაზე ბანდიტურ თავდასხმათა ჩამდენი დამნაშავეები მოკავშირეთა სამხედრო სამმართველოს აღმასრულებელი ორგანოების აშკარა მფარველობით სარგებლობენ და იტალიაში მიმავალ გემზეც კი ჰპოვეს თავშესაფარი.

საოკუპაციო ხელისუფალთ, ნათქვამია მოწოდებაში, ...

ქალაქ პოლაში ინგლისელი გენერლის მოკვლის გამო

რომი, 12 თებერვალი. (საკდესი). გაზეთები იუწყებიან, რომ იტალიელი ქალი, სახელად მარია პასკინელი, რომელმაც 10 თებერვალს ქალაქ პოლაში რევოლვერით მოჰკლა ინგლისის ბრიგადის გენერალი დე უინტონი, მსახურობდა „პოლის ევაკუაციის კომიტეტში", რომელიც ამ ქალაქში შექმნილი იყო „ლტოლვილთა დამხმარე პაპის კომისიისა" და იტალიის მთავრობის „იულიის მოსახლეობის დამხმარე კომიტეტის" ინიციატივითა და მფარველობით.

ინგლისში აღმოაჩინეს კიტლერული ორგანიზაცია

ლონდონი, 12 თებერვალი. (საკდესი) გაზეთ „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტის" კორესპონდენტი იუწყება, რომ ლონდონში და ინგლისის სხვა ნაწილებში უკანასკნელი ორი თვის მანძილზე ჩატარებული გამოძიების შედეგად აღმოჩენილია გულდასმით მოწყობილი ორგანიზაცია, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს გერმანელ და პოლონელ ჰიტლერელთა გაქცევას სამხედრო დამნაშავეთათვის ინგლისში არსებული ბანაკებიდან.

გაზეთის სიტყვით, „ეს ორგანიზაცია დაეხმარა რამდენიმე დამნაშავეს წასულიყვნენ ინგლისიდან, რისთვისაც წინასწარ მისცა მათ ყალბი პასპორტები. პოლიციისათვის ცნობილია ამ ორგანიზაციის ბევრი თვალსაჩინო წევრი. წარსულში ზოგიერთი მათგანი ინგლისის ფაშისტური ორგანიზაციის თვალსაჩინო მოღვაწე იყო.

პოლიცია ძებნა-ძიებას შეუდგა მას შემდეგ, რაც სამხედრო დაზვერვის ოფიცრებმა აცნობეს, რომ, როგორც სამხედრო დამნაშავეთა ბანაკებიდან გაქცევის საშუალებანი მოწმობს, დამნაშავეთა გარკვეული რაოდენობა დახმარებას ღებულობდა ბანაკებს გარეთ არსებულ ორგანიზაციათა მოღვაწეების მხრივ. აგრეთვე აღნიშნული იყო, რომ გაქცეულთა დიდი ნაწილი ფანატიკოს ნაცისტთა რიცხვს ეკუთვნოდა".

სათბობის კრიზისი ინგლისში

ლონდონი, 12 თებერვალი. (საკდესი). ლონდონში ოფიციალურად გამოცხადდა, რომ სათბობის მხრივ დაძაბული მდგომარეობის შედეგად ყველა ინგლისური დილის, საღამოს და კვირის გაზეთები და ყოველკვირეულები კვლავ ისეთივე ოდენობით გამოვლენ, რა ოდენობითაც ომის დროს გამოდიოდნენ. ეს გადაწყვეტილება ძალაში შედის 12 თებერვლიდან და მას ძალა ექნება განსაკუთრებულ განკარგულებამდე.

ლექცია

17 თებერვალს, დღის 4 საათზე საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის აუდიტორიაში (ფურცელაძის ქ. № 1) დანიშნულია მუზეუმის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომა, რომელზეც საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი პროფესორი ა. ბარამიძე წაიკითხავს მოხსენებას თემაზე — „ვეფხისტყაოსნის ახლად შეძენილი ნუსხა".

კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში

14 თებერვალს, საღამოს 8 საათზე, შესდგება ამხ. ტატიშვილის ლექცია თემაზე: „სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა".

14 თებერვალს, საღამოს 7 საათზე, საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელი კომკავშირული აქტივისათვის შესდგება სემინარი თემაზე: „ლენინის წიგნი „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი".

სემინარს ჩაატარებს დოცენტი ს. სიმონგულოვი.

14 თებერვალს, საღამოს 8 საათზე, შესდგება დოცენტ გ. კალანდარიშვილის კონსულტაცია ფილოსოფიაში.

თეატრებში

14 თებერვალს: სახელმწიფო ოპერა — „ბორის გოდუნოვი"; რუსთაველის სახელობის — „ორი ბატონის მსახური"; მარჯანიშვილის სახელობის — „ვის ემორჩილება დრო"; გრიბოედოვის სახელობის — „მეზღვაურები"; მუსიკალური კომედიის — „მარიცა"; მოზარდ მაყურებელთა ქართული — „ლამპარი"; რუსული — „მშვენიერი ვასილისა".

კინოებში

14 თებერვალს: რუსთაველის სახელობის და დამკვრელი — „პირველი ხელთათმანი"; კომკავშირელი — „მარტოდ მოსჩანს თეთრი იალქანი"; სპარტაკი — „ადმირალი ნახიმოვი"; ლუქსემბურგის სახელობის — „ლენინგრადის კინოკონცერტი".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს მილიციის სამმართველო ამით აცხადებს, რომ 1947 წლის 15 თებერვლიდან 10 მარტამდე ტარდება ხელახალი აღრიცხვა სასროლი იარაღისა, რომელიც პირად სარგებლობაში აქვთ მოქალაქეებს, აგრეთვე ორგანიზაციებს, საწარმოებსა და დაწესებულებებს.

იარაღის ხელახალი აღრიცხვა აწარმოებს საქართველოს სსრ მილიციის სამმართველოს ოპერატიულ განყოფილებაში (ბებელის მოედანი № 1, I სართული, ოთახი № 20).

მოქალაქეებმა უნდა წარმოადგინონ იარაღი, ტარების ნებართვა და ცნობა თანამდებობის შესახებ.

იმ პირებს, რომელთაც აქვთ სასროლი იარაღი და არა აქვთ სათანადო ნებართვა, ვალდებული არიან გაატარონ რეგისტრაციაში ან ჩააბარონ 1947 წლის 10 მარტამდე.

ორგანიზაციებმა, საწარმოებმა და სასწავლებლებმა უნდა წარმოადგინონ მათ განკარგულებაში არსებული იარაღის სია 2 ცალად, ცნობები იარაღისათვის პასუხისმგებელ პირზე და იმ პირთა სიები, რომლებიც სარგებლობენ იარაღით.

სასროლი იარაღის ხელახალი აღრიცხვა საქართველოს სს რესპუბლიკის რაიონებში სწარმოებს შინაგან საქმეთა სამინისტროს სათანადო ორგანოებში.

ის მოქალაქეები და ორგანიზაციების ხელმძღვანელები, რომლებიც აღრიცხვაში არ გაატარებენ იარაღს 1947 წლის 10 მარტამდე, მიეცემიან სისხლის სამართლის პასუხისგებაში საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 202 მუხლით.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე მილიციის მე-3 რანგის კომისარი ნაჭყებია

მამა ფილიმონ, მეუღლე ბარბალე, შვილი ვალია, ძმები მინაგო, ვანო, პროკლე, დები აგრაფინა, მარიამ, ჯულიეტა იუწყებიან მიხეილ ფილიმონის-ძე ვეწაძის გარდაცვალებას. პანაშვიდი 14, 15/II, 6 ს. გამოსვენება 16/II, 4 ს. ბრიგადირის, 17.

შვილი მარო, სიძე თეოფანე, შვილიშვილები ნელი, ლეილა ჩიქოვანები, იამზე ნანიაშვილი იუწყებიან კატო კახიანი-ნანეიშვილის გარდაცვალებას. პანაშვიდი 14, 15/II, 7 ს. გამოსვენება 16/II, 2 ს. ჩაბრუხაძის, 28.

მშობლები კატო, თეკლე, და ვენერა, სიძე გრიშა ცინცაბაძე იუწყებიან ვასილ (ბუტუნა) კალანდარიშვილის გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ბათუმში 16/II, 1 ს.

მეუღლე ნუნუ, დედა ალვასი, ძმები კოწია, ვალიკო, ბექუა, და ცუცუ ოჯახებით იუწყებიან კოლია ივანეს-ძე ბეჟუაშვილის გარდაცვალებას. დაკრძალვა 16/II ქ. ზესტაფონში.

მეუღლე მართა, შვილები გიორგი, სონია, მერი, ნინო, ქსენია, თამარ, სიძეები ს. პეტრისოვი, პ. მეტრეველი იუწყებიან იაკობ გიორგის-ძე ხიდაშელის გარდაცვალებას. პანაშვიდი 14/II, 7 ს. გამოსვენება 15/II, 5½ ს. მალაკნის, 16.

ი. პიტავა, ბ. მელაძე, გ. ბოხუა, ი. გიგელია, დ. თელია, ი. ბადარიშვილი, ს. თელია, გ. თელია, დ. თელია, კ. ძაათიანი, შ. ძაათიანი, ბ. შენგელია, გ. თელია, ვ. პიტავა, გ. პიტავა იუწყებიან იხაკი კონსტანტინეს-ძე დუნდუას გარდაცვალებას.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 28, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3.08.67, სამდივნოსი—3.06.88, განყოფილებისა: პროპაგანდის—3.82.05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის—3.81.84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3.73.24, სახალხო-სამეურნეო და სამრეწველო სატრანსპორტის—3.80.83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3.80.84, მორიგისა და გამომშვების — 3.81.65, გამომცემლობის — 3.51.81, სტამბის დირექტორის—3.77.70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 110,000 უშ 00126